დაიჯესტი

22 - 30 იანვარი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა 25 იანვარს გაკეთებულ განცხადებაში, რუსეთის გადაწყვეტილებას, ალექსეი ნავალნის ტერორისტების და ექსტრემისტების სიაში დამატებასთან, დაკავშირებით 'შემაშფოთებელი' უწოდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი აფრთხილებს მოქალაქეებს, ინტერნეტ-სივრცეში ულტრამემარჯვენე საზოგადოებრივი ლიდერების განსაკუთრებული გააქტიურების შესახებ. უსაფრთხოების დეპარტამენტის განცხადებით, მოსალოდნელია ვაქცინაციასთან დაკავშირებით კონსპირაციული თეორიების და მცდარი ინფორმაციის მიზანმიმართული გავრცელება.

სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, 2021 წელს სასაზღვრო პატრულმა ტერორისტულ შავ სიაში მყოფი 14 პირი დააკავა. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული პირები საზღვრის გადაკვეთას მექსიკიდან ცდილობდნენ.

24 იანვარს, არიზონას შტატის უზენაესმა სასამართლომ 14 წლის ბიჭი მილისებრი ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებასა და შენახვაში დამნაშავედ სცნო და თავისუფლების აღკვეთის სახით, 18 თვიანი პატიმრობა შეუფარდა ახალგაზრდების გამოსასწორებელ კოლონიაში.

დანია

მიუხედავად 14 სახელმწიფოს ერთობლივი დიპლომატიური ნოტისა, რომელშიც ქვეყნები მალის სამხედრო ხუნტას ქვეყანაში დანიური სამხედრო ქვედანაყოფების დატოვებას სთხოვდნენ, ოფიციალური კოპენჰაგენის განცხადებით, უარის გამო,დანიის სამხედრო დანაყოფები მალის დატოვებენ. ექსპერტების განმარტებით, განვითარებული მოვლენები ხელს შეუშლის საფრანგეთის კონტრტერორისტულ ძალისხმევას საჰელის რეგიონში.

გერმანია

24 იანვარს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით, სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის საგამოძიებო უწყებების მიერ გაკეთებულ განცხადებაში 18

წლის თავდამსხმელი, ნიკოლაი, გ., ნეონაცისტურ მოძრაობებთან „აფილირებულ პირად“ არის მოხსენიებული.

ნორვეგია

23 იანვარს, თალიბანის დელეგაცია ავღანეთის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრ, ამირ ხან მუთაქისთან, ერთად ოსლოში ჩავიდა. დახურული კარის ფორმატის პირველი სამუშაო დღის შემდეგ, თალიბანის დელეგაციის წევრმა, შაფიულა აზამმა განმარტა, რომ დასავლური სახელმწიფოების მიერ ავღანეთის ახალი ხელისუფლების ცნობა მისაბაძი გახდებოდა სხვა სახელმწიფოებისთვისაც.

უკრაინა

27 იანვარს, უკრაინის ეროვნული გვარდიის წევრმა, არტემი რიაბჩუკმა თანამებრძოლების მიმართულებით ცეცხლი გახსნა. სროლას 5 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. საგამოძიებო უწყებების განცხადებით, თავდასხმის მიზეზი ამ დროისათვის დადგენილი არ არის, თუმცა არ გამორიცხავენ ტერორისტულ მოტივსაც.

ერაყი

ერაყის ქურთისტანში, ერბილის მახლობლად, 22 იანვარს განხორციელებული საჰაერო წერტილოვანი დარტყმების შედეგად ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის 3 მებრძოლი დაიღუპა. ინფორმაციას მომხდართან დაკავშირებით ერაყის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მედია-არხი ავრცელებს.

საუდის არაბეთი

სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს გენერალურმა მდივანმა, ნაიფ ალ-ჰაჯრაფმა, შეშფოთება გამოხატა ირანისგან მხარდაჭერილი ჰუსიტების მიერ საუდის არაბეთზე თავდასხმის მცდელობებთან დაკავშირებით.

ნიგერია

გამოცემა The Associated Press ინფორმაციას ავრცელებს 22 იანვარს, ბოკო ჰარამის მებრძოლების მიერ ჩიბოკთან ახლოს, სოფელ პემიზე თავდასხმის შესახებ. ტერორისტული ორგანიზაციის წევრებმა 17 გოგონა გაიტაცეს.

მალი

ოპერაცია ბარქანეს პრესცენტრის განცხადებით, 22 იანვარს საფრანგეთის სამხედრო ბაზაზე ისლამისტი ექსტრემისტების მიერ განხორციელებულ საჰაერო თავდასხმას 1 ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ბურკინა-ფასო

24 იანვარს, უგადუგუს საზოგადოებრივ მაუწყებელზე ქვეყნის სამხედრო წარმომადგენლებმა ხუნტა გამოაცხადეს. ჯარისკაცების მიმართვაში საუბარია ხელისუფლების უუნარობის შესახებ გაუმკლავდნენ ისლამისტი ექსტრემისტების თავდასხმებს ქვეყანაში.